

„ერეკლე მეფე - ხელნაწერებით გაცეცხლებული ისტორია”

პატარა-კახის განაჩენები

ერეკლე II უდიდესი კვალი გაავლო ქართველი ხალხის ისტორიაში. მეფე-მეომარი შედარებით უფრო ახლოს იდგა ხალხთან, ვიდრე შუა საუკუნეების რომელიმე სხვა ხელმწიფე „მეტად სამართლიანი, სათნო და დიდსულოვანი მეომარი არის” წერდა ერეკლეს შესახებ მონსენიორი ლეონი მე-XVIII ს-ის 70 იან წლებში. არა მარტო საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე გაითქვა სახელი ერეკლე II-მ, არამედ ქვეყნის შიგნითაც ძალზე ბევრი რამ გააკეთა. სხვა მმართველებთან გამოეხმაურა მშობლებს „ყოველი ქვრივი და ობოლი თქვენის მოწყალებით იზრდებაო”-სწერდნენ ისინი ერეკლეს. მართლაც საოცარია, რომ თითქმის არცეთი საჩივარი, რომელიც კი ქვრივ-ობოლ-დატაკთაგან ერეკლესთან მისულა, უშედეგოდ არ დარჩენილა. იგი მათ თხოვნას მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებდა, ტუქსავდა გააგებულ ბატონს, თავშესაფრებს აძლევდა დევნილებს, ყრმობისგან ათავისუფლებდა გლეხმეომრებს და სხვ.

დოკუმენტებს შორისაა მეფე ერეკლე II-ის მიერ გამოტანილი რამდენიმე ვერდიქტი. მან განაჩენი გამოიტანა ობოლი ბავშვის მსახურად წაყვანის თაობაზე. მეფეს საჩივრით მიმართა მამუკა გუგულაშვილის ქვრივმა. თავის არზაში ქვრივიო ჩიოდა, რომ მუხრან ბატონის აზნაურის შვილს უკანონოდ მსახურად წაყვანა მისი 10 წლის შვილი. მეფემ საჩივარი განიხილა და გადაწყვეტილება ქვრივის სასარგებლოდ მიიღო. მან სახლთუხუცესს იოვანე მუხრან ბატონს უბრძანა, აზნაურის შვილს ობოლი ბავშვი დედისთვის დაებრუნებინა, რადგან ჯერ მხოლოდ „ყმაწვილი” იყო. თქვა „გაიზარდოს და ისე იმსახუროსო” და ისევ დედას დაუბრუნეს შვილი. ერეკლე II-ს წვრივმა არზა 1785 წლის 27 იანვარს გაუგზავნა. მეფემ კი განაჩენი მეორე დღესვე 28 იანვარს გამოიტანა.

საინტერესოა ასევე განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზეც. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, სადავო მამულის გამო მომხდარი ჩხუბის დროს, დიდებულების- ალავერდელის, ჩოლოყაშვილისა და ენისელთმოურავის ყმებს თოფით მოუკლავთ თავადი პართენ მდივნის შვილი და აზნაური მაჭავარიანი. 1794 წლის 20 ოქტომბერს ერეკლე მეფემ მკვლელობის საქმე განიხილა და განაჩენი ვახტანგ VI -ის კანონთა კრებულის 28 -ე მუხლის მიხედვით გამოიტანა. მკვლელ ყმებს დაეკისრათ ფულადი ჯარიმის- 344 თუმანის გადახდა. ამ განაჩენში მკვლელების ვინაობა არარის მითითებული ხოლო განაჩენის ასრულება იასაულ ალექსანდრეს დაევალა.

ასევე ერეკლე II-ს საოჯახო დავების გადაწყვეტაც უწევდა. 1770 წლის 19 სექტემბერს განიხილა ძმების-იოსებ და დავით ჯავახიშვილების გაყრის საქმე, განაჩენი გამოიტანა ვახტანგ VI- ის კანონთა კრებულის 109-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს, „სანამდის ძმები ერთად არიან ჭირი, ლხინი, საშოვარი უშოვრობა, წანართმევი თუ ნაბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგული,

ყველა ერთი არის ძმურად”. სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ გაინაწილეს მთელი ქონება; ყმები, მამული, სასახლე, ვენახი და სხვ. საუფროსო წილი მიიღო იოსებ ჯავახიშვილმა, ხოლო საუმცროსო წილი- დავითმა. გარდა ამისა დავითს დარჩა საკუთარი სახსრებით შექმნილი ქონება, რომელიც არ გაიყო.

ვფიქრობ ერეკლე მეფე ცდილობდა სწორი გადაწყვეტილებები მიეღო რათა ხალხს სამართლიანად ჰქონოდა გამოტანილი ვერდიქტი. ასევე იყო ყურადღებიანი მეფე რადგან ზრუნავდა ხალხის მოთხოვნებზე და ცდილობდა შეძლებისდაგვარად გაეთვალისწინებინა ისინი. ერეკლეს პიროვნებამ, მისმა საგმირო საქმეებმა ფართო ასახვა ჰპოვა ქართულ-ხალხურ შემოქმედებაში. ხოლო მისი სახელი ეროვნულ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

*ლიკა გოგატიშვილი, 16 წლის, საჩხერის
რაიონ.სოფ.კორბოული. კორბოულის 2 საჯარო სკოლა*

11 კლასი